პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 288 (11594)
პარასკევი
11
დეკემბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს ნომერში:

მომავლის მზვერავები. — კომუნისტური შრომის ბრიგადაში. — ა. ხუჰუა, შ. ცირეკიძე. — საამქროს მზეთუნახავი (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად ქვეყანაში (1-ლი გვერდი).

ახალგაზრდობავ, მოაწყე ლაშქრობა ცოდნის დაუფლებისათვის! (1-ლი გვერდი).

მეზობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ. — კალინოვკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ. — ს. პროზოროვი, ი. ფადეინი. — კოლმეურნეობა სამი ოლქის შესაყარზე (მე-2 გვერდი).

პარტიულ კონფერენციებზე. — ვ. ხვადაძე, ნ. ალიმბაშვილი. — მაღალმთიანი რაიონის საქმეები (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — კ. ერისთავი. სამედიცინო „სიტყვის კონა“ (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

ფრანგები ეპატიჟებიან ნ. ს. ხრუშჩოვს (მე-3 გვერდი).

საზღვარგარეთ (მე-4 გვერდი).

მომავლის მზვერავები

შარშან, სკკპ XXI ყრილობისათვის მზადების ისტორიულ დღეებში, მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კოლექტივში დაიბადა შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობა — მოძრაობა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდების მოსაპოვებლად.

ეს იყო შრომისადმი დამოკიდებულების თვისებრივად ახალი, უმაღლესი ფორმა. ვიშრომოთ, ვიცხოვროთ კომუნისტურად, ლენინურად — ეს არის ამ სახალხო ლაშქრობის მონაწილეთა დევიზი.

მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ამწყობი საამქროს ბურამ ჩადუნელის ზეინკალთა ბრიგადა. მალე ეს თაოსნობა ფართოდ გავრცელდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

როგორ მუშაობენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, დამკვრელები, რა მაჩვენებლებს მიაღწიეს? დღეიდან ჩვენი გაზეთი სისტემატურად მოუთხრობს ამის შესახებ მკითხველებს, უამბობს თუ როგორ ამთავრებენ „მომავლის მზვერავები“ შვიდწლედის პირველ წელს, რა შექმნეს ხალხის საკეთილდღეოდ, როგორია მათი მომავლის გეგმები.

კომუნისტური შრომის ბრიგადაში

საამქროს მზეთუნახავი

ამწყობი საამქრო. უზარმაზარ თაღქვეშ გრუხუნით მიმოდიან ხიდური ამწეები და ისე მსუბუქად ეაჩოლებენ ელმავლების უმძიმეს დეტალებს, თითქოს რკინის ძლავრი მკლავებით ბამბის ფთილები უჭირავთო. დგანდგარებენ ჩარხები. ნაპერწკლებს ისვრის საჭრისების სიჯიუტეს დამორჩილებული ლითონი.

საამქროს შუაგულში დგას ორი გოლიათი — რვაღერძიანი ქართული სამაგისტრალო ელმავლები. ძრავებით, გენერატორებით, მაღალი ძაბვის კამერებით და სხვა დეტალებით დატვირთული ამწეები ზედიზედ ჩერდებიან აქ. ჩქარობენ ქართველი ელმავალმშენებლები, სურთ რაც შეიძლება მალე გაუშვან ფოლადის მაგისტრალებზე სანავარდოდ თბილისური მარკის ახალი ელმავლები.

იქვე ფუსფუსებენ გურამ ჩადუნელის ამწყობ-ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები. მათ წესრიგში მოჰყავთ ბემანქანის კაბინები, ძარები, ძარისქვეშა გაყვანილობანი. თუ წინათ ყოფილხართ, გასცნობიხართ ბრიგადის წევრებს, ახლა მათ შორის ვერ ნახავთ ნაცნობ სახეებს. ბრიგადის ძველი წევრებიდან ზოგი თვითონ ჩაუდგა სათავეში ბრიგადას, სხვები კი ახლა საწარმოს სხვა უბნებზე მუშაობენ.

ისინი ახალგაზრდა ზეინკლებმა ელგუჯა ფოფხაძემ, გურამ მიხანაშვილმა, ვასილ დოლბინმა და იმედი ჩინჩალაძემ შეცვალეს. ამაოდ შიშობდა ბრიგადირი, გამოუცდელი მუშები მყავს, ვაი თუ ჩამოვჩჩეთ მოსკოველ მეგობრებთან შეჯიბრებაშიო. პირიქით, კომუნისტური შრომის მოძრაობის გარიჟრაჟზე რვა ზეინკალი იყო გურამ ჩადუნელის ბრიგადაში, ახლა ოთხი კაცი თავისუფლად აუდის საქმეს.

უყურებ მათს თავდადებულ შრომას, მათს პატიოსან გარჯას და გიკვირს: საიდან აქვთ ასეთი ენთუზიაზმი, საიდან აქვთ ასეთი სიბეჯითე, სად ისწავლეს ამ პირტიტველა ბიჭებმა შრომის ასეთი სიყვარული? სად და აქ — ქართველ ელმავალმშენებელთა დიდ ოჯახში, კომუნისტური შრომის სახელოვან კოლექტივში.

— ახლა მეტი მონდომება გვმართებს. სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება, მთელი ენერგია უნდა დავძაბოთ და ნაკლისი ვალდებულებები შევასრულოთ, — ეუბნება ბრიგადირი ამხანაგებს.

ვასილ დოლბინმა და იმედი ჩინჩალაძემ ელექტროგაყვანილობის ოცი აწყობილი ყუთი კუთხეში მიალაგეს.

— რა ქენით, დაამთავრეთ?

— მზად არის!

გურამ ჩადუნელი ხელს უშვებს მემანქანის კაბინის კავს, ჯიბიდან ბლოკნოტს იღებს და თავისთვის ინიშნავს: 20 ყუთი. არ არის ცუდი მაჩვენებელი, ზოგიერთ ზეინკალს დღეში სამი ყუთის აწყობაც გაუჭირდება.

კმაყოფილია ბრიგადირი, მაგრამ ბიჭებს მაინც აგულიანებს:

— ერთიც შევუტიოთ, მიხანაშვილის წილი არ დაგავიწყდეთ, შვებულებაში რომ გავუშვით, საქმეც კი არ გაგვიტანებია თან.

— მაგის დარდი ნუ გაქვს, ბრიგადირო. ბრიგადის წევრები ღვიძლი ძმებივით არიან და საქმო საქმემ შენ-ჩემობა არ იცის.

იმ დღეს გ. ჩადუნელის ბრიგადამ 250 პროცენტით გაანაღდა საწარმოო დავალება. გურამ მიხანაშვილიც რომ ყოფილიყო, სამჯერ პროცენტსაც გადავაცილებდითო, დარწმუნებით ამბობს ბრიგადირი. მერე ჯიბიდან კიდევ იღებს ბლოკნოტს და მუშაობის საერთო შედეგებს აცნობს ამხანაგებს.

— დღემდე გეგმის გადამეტებით დამზადებული გვაქვს ათი ელმავლის სათადარიგო ნაწილები, დაზოგილია 8 ტონა ლითონი, 25 ათასი მანეთი. წლის ბოლომდე ეს მაჩვენებლები ბევრად უნდა გავუმჯობესოთ და სასახელოდ დავამთავროთ შვიდწლედის პირველი წელი.

სამუშაო დრო იწურებოდა, როცა საამქროში შორეული გარბენიდან დაბრუნებული ელმავალი დააყენეს. ბრიგადის წევრები უმალვე იქ გაჩნდნენ, აინტერესებდათ, ნაკლი ხომ არ ჰქონდა ლოკომოტივს. უსაზღვროდ გაიხარეს, როცა შეიტყეს, რომ ელმავალს „ფრჩხილიც არ წამოსტკივებია“ გამოცდაზე, უნაკლო იყო მათ მიერ მოწყობილი კაბინა, ძარა, ძარისქვეშა გაყვანილობა.

საამქროს უზარმაზარ თაღქვეშ დგას ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ფოლადის მაგისტრალებზე სანავარდოდ გამზადებული ძლავრი ლოკომოტივი — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. როგორც მზეთუნახავს, ისე შეჰყურებდნენ გურამ ჩადუნელი და მისი ამხანაგები ახალშობილ ლოკომოტივს და გულში იმეორებდნენ: იმრავლოს! იმრავლებს კიდეც!

ა. ხუჰუა,
შ. ცირეკიძე.

• • •

სურათზე: გურამ ჩადუნელი (მარცხნიდან მესამე) მუშაობის დაწყების წინ ბრიგადის წევრებს ესაუბრება დავალების შესრულებაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩვენს ლოზუნგ-ქვეყანაში

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა — ბროშურად

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოსცა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობაზე 1959 წლის 1 დეკემბერს.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში

წელს კიევის უნივერსიტეტში შეიქმნა გამოთვლითი ცენტრი. იგი მოწყობილია სხვადასხვა მათემატიკური მანქანებით. ამას წინათ აქ დადგეს უნივერსალური ავტომატური ციფროვანი გამოსათვლელი მანქანა „ურალი“. მომავალი მათემატიკოსები აქ იღებენ საწარმოო პრაქტიკას: სწავლობენ რთული გაანგარიშების გაკეთებას, გამოსათვლელი ტექნიკის მართვას. ახალ ლაბორატორიაში მუშაადება ამ რთული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდიკა, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის საჭიროებასთან.

წელს გამოთვლითი ცენტრები შეიქმნა ხარკოვის, დნეპროპეტროვსკისა და ლვოვის უნივერსიტეტებში. ისინიც მოწყობილია ახალი, სრულყოფილი გამოსათვლელი მანქანებით.

გორნის გადასასვლელი კასპიის ზღვაზე

ტაშკენტი, 8 დეკემბერი. (საკდესი). ტაშკენტის სატრანსპორტო საპროექტო ინსტიტუტი შეუდგა ბაქოსა და კრასნოვოდსკის ნავსადგურების ნავმისაბმელებთან რკინიგზის მისასვლელების დაპროექტებას. ეს მუშაობა დაკავშირებულია კასპიის ზღვაზე ბორნის გადასასვლელის აგებასთან.

ამჟამად ტვირთს რომელიც შუა აზიიდან იგზავნება ამერიკაკავკასიასა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამხრეთ რაიონებში, კრასნოვოდსკში გადატვირთავენ ხოლმე საზღვაო გემებში, ხოლო ბაქოში ჩასვლის შემდეგ კვლავ ტვირთავენ რკინიგზის შემადგენლობებში. ორმაგ დატვირთვა-გადმოტვირთვას დიდი დრო და სახსრები სჭირდება.

კასპიის ზღვაზე ბორნის გადასასვლელი იქნება ძლავრი ორგემბანიანი დიზელელექტრომავლები. ბორნის სავაგონო გემბანზე მოთავსდება 30 ოთხღერძიანი სატვირთო ვაგონი ან 16 მთლიანლითონის სამგზავრო ვაგონი. მეორე გემბანზე იქნება კაიუტები სამგზავრისათვის.

ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მასშტაბით კასპიის ბორნის გადასასვლელი ერთ-ერთი უდიდესი იქნება მსოფლიოში. მისი სიგრძე 350 კილომეტრი. დასახულია ბორანი ამუშავდეს 1961 წელს.

შვიდწლედი — ოთხ წელიწადში

ემზადებიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმისათვის, სტანისლავის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და რეზერვები და იკისრეს ვალდებულება — მეცხოველეობის განვითარების შვიდწლედი შეასრულონ ოთხ წელიწადში. გათვალისწინებულია 1962 წელს ას ჰექტარ საეარგულზე აწარმოონ 142 ცენტნერი ხორცი, ცოცხალი წონით და 806 ცენტნერი რძე.

უკვე 1960 წელს ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საეარგულზე ოლქში წარმოებულ იქნება 111 ცენტნერი ხორცი და 630 ცენტნერი რძე. (საკდესი).

გენიალური ნაშრომი

გამოვიდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის მეთოთხმეტე ტომი, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ.

ტომში მოთავსებულია ციკლი მარქსისა და ენგელსის სტატიებისა, რომლებიც დაწერილია 1857-1860 წლებში პროგრესული ბურჟუაზიული გამოცემის „ახალი ამერიკული ენციკლოპედიისათვის“. აგრეთვე მარქსის დიდი პოლემიკური ნაწარმოები „ბატონი ფოგტი“

სტატიები „ახალი ამერიკული ენციკლოპედიისათვის“ ეხებიან უმთავრესად სამხედრო-ისტორიულ თემებს.

მარქსის პამფლეტი „ბატონი ფოგტი“, რომელიც დაწერილია 1860 წელს, ახასიათებს მარქსისა და ენგელსის ბრძოლას პროლეტარული პარტიისათვის. ამ ნაწარმოებში მწვავე სატირის ფორმით გამანადგურებელი პასუხი ეძლევა პროლეტარული მოძრაობის მტრებს, რომლებიც ცდილ წამებდნენ პროლეტარულ რევოლუციონერებს. ნაშრომი „ბატონი ფოგტი“ გამსჭვალულია პარტიულობისა და პროლეტარული მოძრაობის მტრებისადმი შეურიგებლობის საბრძოლო სულისკვეთებით. მან შეინარჩუნა უდიდესი მნიშვნელობა როგორც დიდმნიშვნელოვანმა წყარომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიის შესასწავლად, როგორც მუშათა კლასის ინტერესების მგზნებარე დაცვისა და კომუნიზმის ბოროტი მოწინააღმდეგეებისადმი გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევის ნიმუშმა.

ტომში მოთავსებულია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის 40 სტატია „ახალი ამერიკული ენციკლოპედიიდან“, რომლებიც პირველად არის შეტანილი თხზულებებში. (საკდესი).

ახალი მასალები კლარა ცეტკინზე

რიგა. (საკდესი). ლატვიის ცენტრალურ არქივში აღმოჩნდა ახალი მასალები საერთაშორისო და გერმანიის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის კლარა ცეტკინის შესახებ.

როგორც ცნობილია, 1922 წლის ბოლოს კლარა ცეტკინი თავის მდივანთან ჰერტა ოსტერლიხთან ერთად ბრუნდებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის IV მოსკოვის კონგრესიდან და მოკლე ხნით შეჩერდა რიგაში.

ეგზეში ყოფნისას საიდუმლო პოლიციის აგენტებმა უხეშად გაჩხრიკეს ისინი და ცდილობდნენ აღმოეჩინათ „ძირგამომთხრელი“ მასალები. პოლიციელებმა ვერაფერი ეპოვეს, მაგრამ კლარა ცეტკინსა და მის მდივანს მაინც ჩამოართვეს წიგნები, წერილები, საბუთი და ზოგიერთი პირადი ნივთი.

არქივის მასალებში აღმოჩნდა ბურჟუაზიული ლატვიის პოლიტიკური საიდუმლო პოლიციის პატაკები კლარა ცეტკინის შესახებ, ჩამორთმეული ნივთების სია. მათ შორის არის კ. ცეტკინის ბროშურა რიგა ლუკსემბურგის შესახებ, რუსულ ენაში ვარჯიშობის რვეული, გაჩხრეკის ოქმი კლარა ცეტკინისა და მისი მდივნის საკუთარი ხელმოწერით.

დიდ ინტერესს იწვევს არქივში არსებული სრული ტექსტი კლარა ცეტკინის სიტყვისა კომინტერნის IV კონგრესზე.

არქივის მასალებში აღმოჩნდა რიგაში გერმანიის რწმუნებულის ნოტა ლატვიის მთავრობისადმი, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ პოლიციელები უხეშად მოეპყრნენ რაიხსტაგის დეპუტატ კლარა ცეტკინს.

ახალგაზრდობავ, მოაწყე ლაშქრობა ცოდნის დაუფლებისათვის!

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა VI პლენუმმა განიხილა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ტექნიკური ცოდნით შემდგომი შეიარაღების საკითხი და დასახა მისი ზოგადი განათლებისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების გზები.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის დადგენილებიდან „მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადი განათლებისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების დარგში კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ“, მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი, რომელიც 9 დეკემბერს გაიმართა.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა ამ საკითხზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. მან აღნიშნა, თუ რა მხურვალე გამოხმაურება პოვა რესპუბლიკის ქალიშვილთა და ჭაბუკთა გულში სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ გამოცხადებულმა ლაშქრობამ ცოდნის დაუფლებისათვის.

პლენუმზე აღინიშნეს, რომ ამჟამად მუშა და სოფლის ახალგაზრდობა უფრო ფიდრე ოდესმე, ესწრაფვის დაეუფლოს ცოდნას. ბევრი ახალგაზრდა მუშა, კოლმეურნე და მექანიზატორი წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობს საშუალო და საღამოს სკოლებში, ტექნიკუმებსა და ინსტიტუტებში, მოწინავე გამოცდილების სახალხო უნივერსიტეტებში.

პლენუმის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ მუშაობენ რესპუბლიკის საოლქო, რაიონული, საქალაქო, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ბევრმა ორგანიზაციამ საყურადღებო ინიციატივა გამოიჩინა ამ საქმეში. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში ჩოეწყო კურსები უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შესასვლელად ახალგაზრდა მუშების მომზადებისათვის. ბათუმელმა ახალგაზრდა მანქანათმშენებლებმა გამოაცხადეს, რომ შეფობას გაუწევენ ახალი ტექნიკის დანერგვას ქალაქის საწარმოებში. სამგორის რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდობამ შექმნა კომკავმირელთა აქტივის ინსტიტუტი სათონნი კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის შესასწავლად, ხოლო თელავის რაიონის ახალგაზრდობამ — სახალხო გამოცდილების უნივერსიტეტი, აგროტექნიკის, ზოოტექნიკის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საფუძველთა შემსწავლელი 4 სკოლა და 18 კურსები.

ამავე დროს პლენუმზე აღინიშნა, რომ ყველა კომკავშირული ორგანიზაცია როდი ჩაუდგა სათავეში ამ შესანიშნავ მოძრაობას. ქალიშვილთა და ჭაბუკთა ნაწილი, რომლებსაც შვიდწლეიანი და საშუალო განათლება არა აქვთ, სკოლის გარეშე რჩება. სრულიად საკავშირო ალკკ კომიტეტები მთელ რიგ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ზოგჯერ გულგრილად ეკიდებიან იმ ახალგაზრდა მუშებისა და კოლმეურნეების მოთხოვნილებებსა და საჭიროებას, რომლებიც შრომასა და სწავლას ათავსებენ.

მიღებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს პარტიული ორგანოების დახმარებით უზრუნველყონ, რომ ახალგაზრდობის მოძრაობა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დაუფლებისათვის მასობრივი გახდეს, მიიღონ იმაც, რომ ამ მოძრაობაში მონაწილეობდეს თვითეული ახალგაზრდა. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი საღამოს სკოლების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, დაეხმარონ ახალგაზრდობას უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შესვლისათვის მომზადებაში, ჩაუნერგონ მათ მისწრაფება, რომ დამოუკიდებლად იმაღლებდნენ ცოდნის დონეს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჭაბუკთა და ქალიშვილთა საწარმოო-ტექნიკური სწავლების გაუმჯობესებაში.

პლენუმმა დაადგინა მოიწვიოს საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXIII ყრილობა 1960 წლის 20 იანვარს.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. ვ. კარპინსკიმ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ს. დოლიძემ. (საქდესი).

უნემსოდ და უძაფოდ

ლიტვის სსრ ვილნიუსის სამკერვალო ფაბრიკა „ლელიაში“ დანერგილია ძვირფასი ხიალი: ტანსაცმლის შეკერვა... უნემსოდ და უძაფოდ. ტანსაცმლის დეტალებს ერთმანეთზე ამაგრებენ სპირტით დასველებული აფსკური კაუჩუკის ლენტით. გორგოლაჭის ქვეშ, რომელიც მანქანაზე ნემსსა ცვლის, აფსკა სწრაფად აწებებს ქსოვილს. ტანსაცმლის დეტალების შეერთების პროცესი მთავრდება წნეხზე, სადაც „გაკერვის“ ადგილებს ათბობენ 160 გრადუს ტემპერატურამდე, რის გამო აფსკი დნება და საბოლოოდ აერთებს ქსოვილს.

ახალი მეთოდის გამოყენებამ დააჩქარა ტანსაცმლის დამზადება და გააუმჯობესა მუშაობის ხარისხი. დეტალების დაწებებით შეერთების სამაგრე ბევრად აღემატება ძაფით შეკერილისას. ტანსაცმელს უფრო ლამაზი შესახედაობა აქვს.

ხიალმა შესაძლებელი გახადა 40 მკერავის გამოყენება წარმოების სხვა უბნებზე, შრომის ნაყოფიერების ბევრად გადიდება. ცვლაში კოსტუმების გამოსავლიანობა 50 და მეტი პროცენტით გადიდდა.

სურათზე: ფაბრიკის მუშა ვერა საიბუკი გახურებული წნეხის საშუალებით სახელოებზე ამაგრებს ყოშებს.

ფოტო მ. ბარანაუსკასისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მეგობრები ერთმანეთს ეხსაბუნ სნავეზობენ

კალინოვკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ

კოლმეურნეობა სამი ოლქის შესაყარზე

მეორე წელია, რაც საქართველოს სსრ ბოლნისისა და რსფსრ კურსკის ოლქის სოფელ კალინოვკის კოლმეურნეები ერთმანეთს ეჯიბრებიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

გასულ წელს ბოლნისის კოლმეურნეთა დელეგაცია ესტუმრა კალინოვკელებს, გაეცნო მათს მუშაობას, უამბო თავიანთი საქმიანობის, მომავალი გეგმების შესახებ.

რუს და ქართველ კოლმეურნეთა ეს შეჯიბრება ხელს უწყობს ორივე კოლმეურნეობის საერთო წინსვლას.

ამ გვერდში მოთხრობილია კალინოვკელთა შრომითს წარმატებებზე, რომლებიც მათ შვიდწლედის პირველ წელს მოიპოვეს, იმაზე თუ რით ეგებებიან ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ ვასილის-ძე გრაჩოვი კმაყოფილებით ათვალიერებს კილოგრამიან ჭარხალს. ჯერ კიდევ ხუთიოდე წლის წინათ ამ ადგილებში ჭარხალი ოვალითაც არ ენახათ. წელს კი, თუმცა ნვიმები ცოტა იყო, ჰექტარზე 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღეს.

ახალი ჰორიზონტები

დიდი აღმავლობის დღეებია ახლა სახელგანთქმულ კალინოვკაში. ბევრი სახელოვანი შრომითი საჩუქარი მოამზადეს კალინოვკელებმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის. შვიდწლედის პირველი წლის დაძაბული საგეგმო დასახულობანი გადაჭარბებით არის შესრულებული თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ამას უფრო დაწვრილებით შევეხებით ქვემოთ. უფრო ადრე კი გვინდა ხაზი გავუსვათ სხვა რამეს. დასამალავი როდია, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კალინოვკას რაღაც ზეციური მანანა დაეფრქვა, რომ კალინოვკელებს ყველაფერი თავისთავად, იოლად მოსდით და რაიმე სერიოზულ სიძნელეს არ განიცდიან.

სწორედ ამიტომ, დღევანდელ კალინოვკაზე რომ ვლაპარაკობთ, ყველაზე ნაკლებად გვსურს ხოტბა შევასხათ კალინოვკელთა წარმატებებს. გვინდა სხვა რამ — რომ ჩვენმა ძმებმა მანძილით შორეულ, მაგრამ გულისათვის მახლობელ მზიურ საქართველოში, კალინოვკელთა მეგობრებმა სოფელ ბოლნისში უკეთ შეიტყონ სიმართლე, თუ რა დიდი ღონისძიებებით, რა დაძაბული შრომით აღწევენ კალინოვკელები წარმატებებს. მართალია, რომ კალინოვკის წინაშე შვიდწლედის პირველ წელს ახალი ჰორიზონტები გადაიშალა, რომ კოლმეურნეობა ახალი მკვეთრი აღმავლობისაკენ მიდის. და იმის გამო, რომ ეს აღმავლობა ძნელია, იგი კიდევ უფრო ძვირფასი და დასაფასებელია, უწინარეს ყოვლისა თვით კალინოვკელებისათვის.

„მარჩენალი“

არაჩვეულებრივად ადრე ეწვია წელს ზამთარი კურსკის მხარეებს. ნოემბრის იმ დღეს ბოლნისის კოლმეურნეებს ალბათ მსუბუქი საზაფხულო ტანსაცმელი ეცვათ და ისე მუშაობდნენ. კალინოვკელებმა კი უკვე ქურქები და თექურები ჩაიცვეს, თბილი ხელთათმანები გაიკეთეს. მეზობელი ბრიანსკის მხრიდან ცივი ქარი უბერავდა, მიწა ისე გაიყინა, რომ წკრიალი გაჰქონდა. მთლად ისე ბარდნიდა როგორც ზამთარში.

ჩვენში, რუსეთში, ასეთი ამინდის შესახებ სახოვნად იტყვიან: კარგი პატრონი გარეთ ძაღლსაც არ გააგდებსო. მაგრამ რას იზამ. ბუნება ბუნებაა და ადამიანს ჯერჯერობით არ ძალუძს მთლიანად ისე მართოს იგი, როგორც სურს. ძალიან ჩქარობდნენ კალინოვკელები, მაგრამ ყველა სამუშაოს თბილ ამინდში დამთავრება ვერ მოასწრეს.

ნოემბრის ბოლოა, ხოლო მინდვრებში კანაფის ნაწილი ჯერ კიდევ აუღებელი და შეუკონავი დარჩა. ეს კი აქ ძირითადი ტექნიკური კულტურაა. „ჩვენი მარჩენალიო“ — ტყუილად კი არ უწოდებენ მას კალინოვკაში. ეს მართლაც ასეა: ცხრა მილიონი მანეთი შემოსავლიდან, რაც გეგმით კოლმეურნეობამ წელს უნდა მიიღოს, კანაფზე მოდის ხუთ მილიონამდე. ჭეშმარიტად მარჩენალია!

და გასაკვირველი როდია, რომ მეკანაფეები გაეშურნენ კანაფის გადასარჩენად: თოვლიდან იღებდნენ, იქვე ჰკონავდნენ, კარვებად დგამდნენ.

სწორედ ამ საკმაოდ ძნელ სამუშაოზე ვნახეთ მინდვრად კალინოვკის საუკეთესო მეკანაფის ბარბარე სიმონნის სულ რომაშოვას რგოლი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სამუშაოს მეტად დახარბებული რომაშოვა გვეუბნება:

— ჩვენს ნაკვეთზე დიდი ხანია დავამთავრეთ მუშაობა. ათმა 20 ჰექტარი დავძლიეთ, თანაც დამატებით 5 ჰექტარზე შაქრის ჭარხალი დავამუშავეთ და 8 ჰექტარზე — კარტოფილი. ბრიგადირმა გამოანგარიშება დაიწყო, და გამოვიდა, რომ მარტო ჩვენმა რგოლმა კოლმეურნეობას თითქმის 300 ათასი მანეთი შემოსავალი მისცა. ახლა აი სხვებს ვეშველებით.

შემდეგ ცხარედ დაგვიწყო ახსნა, თუ რაზე სტკივა განსაკუთრებით გული.

— გაზეთიდან ხართ? ალბათ გვაქებთ, არა? უკეთესი ის იქნება, რომ გასწეროთ და რაც შეიძლება მწარედ, ინჟინრები თუ მეცნიერები: რატომ არ მოიფიქრებენ, როგორ შეგვიმსუბუქონ შრომა. დიდი ხანია დროა გაკეთონ ისეთი მანქანები, რომლებიც კიდევაც იღებდნენ და კიდევაც კონავდნენ კანაფს. ირგვლივ ტექნიკა, მექანიზმებია. ჩვენი კანაფი კი მოჯადოებულივით არის: მოსჭრიან მწვანე ღეროებს სამკალი მანქანით, ხოლო შემდეგ კიდევაც მოფოცხე, კიდევაც აპკონე, დასალბობადაც ჩაწყე, შემდეგ სალბობიდან — ყინულივით ცივი წყლიდან ამოიღე. და ყველაფერი ეს შიშველი ხელით! როდემდის უნდა იქნეს ასე? რაც უნდა მარჯვე იყო, აქ ვადაზე ვერ მორჩები საქმეს...

ხოლო როცა ქალებს ვუთხარით, რომ ვაპირებთ კალინოვკასა და კალინოვკელებზე ქართულ გაზეთში დავწეროთ, მაშინვე კითხვები დაგვაყარეს:

— საინტერესოა, როგორ აქვთ იქ საქმე?

— ახალი რა არის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, არ გაგიგიათ?

— კიდევ როდის ჩამოვლენ ჩვენში?

ყველაფრით იგრძნობოდა, რომ ქალებს კარგად ახსოვთ მაისის შეხვედრა ქართველ მეგობრებთან, ისეთივე გულთბილი და ნათელი შეხვედრა, როგორიც მაისია ჩვენს მხარეს.

— ძალიან გვეპატიჟებოდა მათი თავმჯდომარე (ვგონებ ანდრია მიხეილის-ძეს ეძახიან), რომ ვესტუმროთ მათს სოფელში, — შენიშნა მერგოლურმა და დასძინა:

— უთუოდ უნდა ჩავიდეთ. ოღონდ ამ დიდ სამუშაოს მოვრჩეთ.

იქვე ახლოს მდგომმა მორიდებულმა, ტანადმა, ქერა-თმიანმა ქალიშვილმა ნინო ერმაკოვამ მორცხვად დასძინა:

— კანაფის შესახებ კი დაწერეთ, რომ მთლიანად ავიღებთ, ერთ ღერსაც არ დავტოვებთ თოვლში, როგორც ძალიან ხშირად ემართებათ სხვებს, დაუდევრებს.

იმის მიხედვით, თუ რა მტკიცედ ლაპარაკობდა ქალიშვილი, შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ — ასეც მოხდება!

მეზოგლეგი

კანაფში ერთგვარი შეფერხება, რა თქმა უნდა, მარტო ამინდის ჭირვეულობით როდი აიხსნება, თუმცა ესეც ძლიერ უშლიდათ ხელს. ამინდი მართლაც უმაგალითოდ ცუდი იყო: სექტემბრის პირველი რიცხვებიდან წვიმდა და თოვდა, თოვდა და წვიმდა, გასაქანი არ ჰქონდათ. მერე ყინვებიც ნაადრევად დაიწყო.

მაგრამ საქმე მარტო ეს კი არ არის. კანაფის აღებაში შეფერხება ზრდის ერთ-ერთი სიძნელეა, რომელსაც წელს წააწყდა დიდი კალინოვკა (ახლა ყველა ასე ეძახის კოლმეურნეობა „ხრუშჩოვის სამშობლოს“ სოფელ ყედენოვკის კოლმეურნეობასთან გაერთიანების შემდეგ). ძალიან მცირე მზითევი მოჰყვა კალინოვკის სახლში ამ „პატარძალს“. მიწა თავმინებებული, საზოგადოებრივი ნაგებობანი, როგორც იტყვიან, წაქცევაზე იყო, ბეღლები — ცარიელი, სალაროში გროშიც არ იყო, სახელმწიფო ბანკში ანგარიშებზე კი მარტო ვადაგადაცილებული კრედიტები ჰქონდათ.

კალინოვკელებმა სრულ კმაყოფაზე აიყვანეს მეზობლები, პირველი თვეებიდანვე ფულად ანაზღაურებაზე გადაიყვანეს ისინი.

სახსრები სად იშოვნონ? მეცხოველეობა გაიზრდება, მაგრამ შედეგს მალე როდი მოგვცემს. გაიზრდება მარცვლეული კულტურების მოსავალიც და, მაშასადამე, სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვით მიღებული შემოსავალიც. პირველად წელს მიიღო კოლმეურნეობამ სასაქონლო შაქრის ჭარხალი. აქამდე კი მას მხოლოდ სასინჯავად თესავდნენ და ისიც მხოლოდ პირუტყვის საკვებად. ერთი სიტყვით, როგორც უნდა იტრიალო, მთავარ იმედად მაინც კანაფი რჩება.

გამგეობასა და პარტორგანიზაციაში გაზაფხულზე კოლექტიურად მოიფიქრეს თესვის გეგმა. კალინოვკელები კანაფს კარგად მოიყვანენ, აქ ისწავლეს მისი მოყვანა და საქმეს არ ჩაფუშავენ. მაგრამ როგორ იქნება საქმე ყედენოვკაში? იქაურები პირდაპირ ამბობდნენ:

— კანაფი ჩვენში არ ხარობს, არ გამოგვადგება. მიწა ტყიან-უბრალოდ მოგვიცდება.

კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა სოციალისტური შრომის გმირმა დ. ე. ვანინმა გადაჭრით განაცხადა:

— მიწა იქ კარგია. ხოლო თუ მოყვანა არ იციან, არა უშავს რა, ვასწავლით.

მაშინ ლაპარაკი ჩამოვარდა სხვა რამეზე. მთელი მიწა გაერთიანებულ კოლმეურნეობაში 3.800 ჰექტარია. აქედან თითქმის ათას ხუთას ჰექტარს შრომატევადი ტექნიკური კულტურები დაიკავებს, მათ შორის 400-მდე ჰექტარს — კანაფი, 200-ს კარტოფილი და 100 ჰექტარზე მეტს — შაქრის ჭარხალი. ასეთი ფართობის დამუშავება და, რაც მთავარია, მოსავლის დროზე აღება იოლი როდია.

— ჩვენ ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არა გვაქვს, — შენიშნა გამგეობის სხდომაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვასილ ვასილის-ძე გრაჩოვმა. — უნდა გავაკეთოთ. ოღონდ შენ, დიმიტრი ექვთიმეს-ძევ, ყედენოვკის საწარმოო ნაკვეთზე მუდმივი კონტროლი უნდა დააწესო. თუ მოსავლის მხრივ გვიმტყუნეს, მაშინ, გასაგებია, საქმე ჩაგვეფუშება. ამის უფლება კი არა გვაქვს.

საჭირო გახდა შეემცირებინათ შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის ხარჯვა საკვებად. დასჯერდნენ მხოლოდ იმას, რაც მოყვანილი იყო ფერმისპირა ნაკვეთებზე, დანარჩენი კი მთლიანად სახელმწიფოს მიჰყიდეს.

მთლად გამართულად ვერც მეცხოველეობაში გამოვიდა საქმე. ყედენოვკის ძროხები თავდაპირველად კარგ თხაზე მეტ რძეს ვერ იძლეოდნენ, საკვები კი იმდენივე სჭირდებოდათ, რამდენიც კალინოვკის ძროხებს, და ცოტა მეტიც. ყედენოვკაში მეღორეობის ფერმაშიც ვერ მოგვარდა საქმე — ცუდი ბინების გამო გოჭები ციოდებოდნენ და ბუზებივით წყდებოდნენ. ყედენოვკის ერთ-ერთ ფერმაში ქათმები გაიჩინეს, მაგრამ საიდანღაც ხოლერა შემოიტანეს — იძულებული გახდნენ თითქმის ორი ათასი ფრთა ქათამი მოესპოთ.

კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა პეტრე ივანეს-ძე ზახარჩენკომ ერთხელ გაჯავრებულმა თქვა:

— მეტად ძვირად გვიჯდებიან ყედენოვკელები. დავიდარაბაა და მეტი არაფერი.

ცხოვრება, საბედნიეროდ, გაცილებით უფრო ოპტიმისტური აღმოჩნდა, ვიდრე კალინოვკელი მთავარი ბუხჰალტრის ვარაუდები.

გავიდა წელიწადი და...

ყედენოვკასთან ძალები რომ გაერთიანა, კალინოვკა ამის შედეგად კი არ დასუსტებულა, არამედ განმტკიცდა. ვასილ ვასილის-ძე გრაჩოვი ახლა ამაყად იგონებს:

— მართალი, ათასგზის მართალი აღმოჩნდა ნიკიტა სერგის-ძე, გაერთიანება რომ გვირჩია. საერთო ძალებით ერთ ოჯახში ცხოვრება მაინც უფრო ადვილი და უკეთესია. აბა ნახეთ ერთი წლის შემდეგ რა იქნება!

იმავე გრაჩოვმა კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის შარშანდელი დეკემბრის პლენუმის ტრიბუნიდან წმინდა გლეხური სიფრთხილით განაცხადა:

— ორი ან სამი წლის შემდეგ ყედენოვკას კალინოვკის დონემდე ავიყვანთ.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მაშინ გაუსწორა მას:

— ეს ორ წელიწადშიც შეიძლება გაკეთდეს.

და აი გავიდა წელიწადი. რას მოწმობს წინასწარი შედეგები? იმავე ფართობებიდან და არსებითად იმავე პირუტყვისაგან ყედენოვკის საწარმოო უბანი იღებს თითქმის 4 მილიონ მანეთ ფულად შემოსავალს ნაცვლად შარშანდელი 1.240 ათასისა. ნელა, მაგრამ მტკიცედ მიდის აღმავლობის გზით მეცხოველეობა. პირველად ხდება, რომ ყედენოვკის პირუტყვი მთლიანად უზრუნველყოფილია წვნიანი საკვებით, ცილით მდიდარი თივით, კონცენტრატებით. გრუნტის ბლოკებისაგან აშენდა საძროხე თითქმის სამასი სულისათვის, სადაც განხორციელებულია სრული მექანიზაცია. ამ დღეებში მწყობრში ჩადგება ახალი საღორე ღორების დიდ ჯგუფებად შესანახავად. როგორია მაჩვენებლები? ყედენოვკის საუკეთესო მეცხოველეებმა, რომლებიც სახორცე პირუტყვის გასუქებაზე მუშაობენ, წონაში საშუალო-დღიური მატება ერთ სულზე 700-800 გრამამდე აიყვანეს. აქაურ მწველავებს არ სჯეროდათ, რომ ერთ ძროხას შეუძლია წელიწადში 2 ათას კილოგრამზე მეტი მოიწველოს. მაგრამ აი რას ამბობს დღეს ახალგაზრდა მწველავი, ყედენოვკის სარძეო-საკონსერვო ფერმის კომორგი ლენა ტალდიკინა:

— თოთხმეტი ძროხიდან, რომლებსაც ვუვლი, თვითეულზე თითქმის 2.800 კილოგრამი რძე მივიღე. წლის დამლევისათვის კი აუცილებლად გადავაბიჯებ სამათასიან ზღუდეს.

კომკავშირელთა მოთავემ ეშმაკურად შემოგვანათა გრემა თვალები და გვითხრა:

— თქვენ მაშინ ნახეთ, ახალგაზრდულ ფერმას თუ შეეჭმინთ. ჩემი მეგობარი რვა ქალიშვილი დავითანხმე მწველავები გახდნენ. ტანია გუსევა და ზინა კოსტიუკოვა უკვე ჩემთან არიან. მალე მოვლენ დანარჩენებიც. ვნახოთ, იქნებ ერთი წლის შემდეგ ჩვენი კალინოვკელი და ქართველი მეგობრები ჩვენთან ჩამოვიდნენ სასწავლად, გამოცდილების გადასაღებად. მობრძანდნენ!

რაც შეეხება მემინდვრეობას, ამ დარგში უკვე ახლა სრული რევოლუცია მოხდა. ყველაფრის წამომწყები და სული და გული იყო იგივე კალინოვკელი აგრონომი დიმიტრი ექვთიმეს-ძე ვანინი. გაზაფხულზე მან ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა ყედენოვკის მინდვრები. აღადგინა კულტურების სწორი რიგითობა. მან და საქმის მეორე ენთუზიასტმა-ფანატიკოსმა, კოლმეურნეობის აგროქიმიკოსმა ვლადიმერ სერგის-ძე ტორინმა აიღეს თვითეული ნაკვეთის მიწის სინჯი. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მინდვრებში იდგა იმის მაუწყებელი ფარები, თუ რამდენი და როგორი სასუქი უნდა შეეტანათ, როდის, როგორ და რომელი კულტურა დაეთესათ. ყედენოვკაში არასოდეს არ ჰქონიათ ჩვეულებად გაზაფხულზე დამატებითი საკვები შეეტანათ საშემოდგომო ნათესებში. ახლა კი დამატებითი გამოკვებისათვის იყენებდნენ მინერალურ სასუქებსაც, ნეშომპალასაც. სასუქების შესატანი მანქანები რომ არ ეყოთ, 300 კოლმეურნე ხელით ყრიდა მინდვრებში სასუქებს. მართალია, ზოგიერთი მაშინ იცინოდა:

— საქმე გამოლევიათ თუ რა არის? მოზრდილი ადამიანები არიან, თითქოს არც სულელებს ჰგვანან, რაღაც საბავშვო გართობა კი წამოიწყეს...

პირდაპირ უნდა ითქვას, უხალისოდ, დიდი ზეგავლენით ასრულებდნენ ყედენოვკაში სპეციალისტების რჩევას. ვანინისა და ყედენოვკის საწარმოო ნაკვეთის აგრონომის ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ლიტვინოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეყოთ ნებისყოფა თავიანთი გაეტანათ. სამაგიეროდ შემოდგომაზე კოლმეურნეებმა რამდენი მადლობა უთხრეს მათ! ძირითადი მარცვლეული კულტურა — ჭვავი ყედენოვკელებმა აიღეს 20,7 ცენტნერი ჰექტარზე ნაცვლად გასული წლის 9,8 ცენტნერისა. ერთმა წელიწადმა დაასამარა ვერსია, ყედენოვკის მიწებზე კანაფი არ ამოვაო. მისმა მოსავალმა ბოჭკოზე გადაყვანით შეადგინა თითქმის 10 ცენტნერი ჰექტარზე ანუ სამჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს. და ასეთივე იყო ყველა კულტურის მოსავალი.

განა თქმა უნდა, რომ ყოველივე ამან აღაფრთოვანა, აღაგზნო ყედენოვკელები. შემატა მათ ძალა და რწმენა! ახლა უკვე არა მარტო ახალგაზრდა მწველავი ლენა ტალდიკინა, არამედ მისი ბევრი თანასოფელი სერიოზულად ფიქრობს, რომ შვიდწლედის მეორე წელს მინდვრეობისა და მეცხოველეობის თუ ყველა მაჩვენებლის მიხედვით არა, გადამწყვეტი მაჩვენებლების მიხედვით მაინც დაეწევიან და გაუსწრებენ კალინოვკელებს. კარგი შეჯიბრება ასევე კარგი ნაყოფის მიღების იმედს იძლევა.

ოქროს წესი

საბჭოთა ადამიანებს ოქროს წესი აქვთ: არასოდეს არ დასჯერდნენ მიღწეულს, არამედ იარონ სულ წინ და წინ. სწორედ ასე იქცევიან კალინოვკელები.

ამას წინათ ჩვენ შევესწარითო დ. ე. ვანინის საუბარს მეცნიერ თანამშრომელ ვ. ვ. ტოკარევთან. კალინოვკაში შექმნილია სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დასაყრდენი პუნქტი. მას ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ამხ. ვანინი. და აი დღეს ვასილ ვასილის-ძე შეხვდა მას კანტორაში, სადაც ვანინმა შეიარა, მინდვრიდან რომ ბრუნდებოდა.

— ძნელი იქნება, მაგრამ მანქანების ნაწილი უნდა მოვხსნათ კანაფზე მუშაობიდან, — შესვლისთანავე უთხრა აგრონომს ამხ. ტოკარევმა. — დროა სასუქები შევიტანოთ. ამიტომ მოდით მოვისაზროთ: ხომ არ ემჯობინება სასუქად გამოვიყენოთ ტორფის ფხვნილში შერეული ნაკელი. მართალია, ხარჯი იქნება საჭირო, მაგრამ იგი ანაზღაურდება: ტორფთან ერთად სამჯერ ნაკლები ნაკელი იქნება საჭირო, სარგებლობას კი ჩვენს მიწებზე უფრო მეტს მივიღებთ.

ვანინმა იქვე გასცა სათანადო განკარგულება. მაგრამ ვერ მოასწრო საუზმისათვის გასვლა, რომ შემოვიდა ზოოტექნიკოსი ელენე მიხეილის ასული საკინა.

— ახალგაზრდული ბრიგადის მწველავები ამბობენ, აღვრიცხველი არა გვჭირდებაო. თვითონ აღვრიცხავთ წველადობას, რა საჭიროა კაცს ფული ეძლეოდეს და ამით რძე ძვირდებოდესო. ვფიქრობთ, შეიძლება დავეთანხმოთ მათ. რჩევისათვის მოვედი. ლაპარაკი გვქონდა კიდევ იმ რძის თაობაზე, რომელსაც ხბოების გამოსაკვებად ვხარჯავთ. შვრიისა და მუხუდოს ფქვილის ნაყენს თუ გავაკეთებთ და ვაჭმევთ ხბოებს — სულ ბევრი ათი დღის ასაკიდან შეიძლება აღარ ვაძლიოთ მოუხდელი რძე.

დიმიტრი ექვთიმეს-ძემ რჩევა მისცა ესინჯათ და თავის მხრივ დასძინა:

— წელს შარშანდელზე რამდენადმე ნაკლები გვაქვს ვიტამინიანი საკვები. აქ, სანამ ავად ვიყავი, საკმაო რაოდენობით გადავიკითხე სიახლენი მეცხოველეობის დარგში. მოდით უფრო გაბედულად გავურიოთ საკვებში ანტიბიოტიკები, განსაკუთრებით გასასუქებელ ცხოველთა ჯგუფებისათვის. შეიცვება ვიტამინების ნაკლებობა, პირუტყვი უფრო მეტი ხალისით დაუწყებს ჭამას საკვებს და, ბუნებრივია, გადიდდება პროდუქტიულობა.

— ვცდით, — უპასუხა საკინამ.

გვიან საღამოს კი ყედენოვკიდან ჩამოვიდა ვასილ ვასილის-ძე გრაჩოვი

— უნდა გადავწყვიტოთ ძროხების საკითხი. ყედენოვკელები მოითხოვენ ფერმაში მიიყვანონ თავიანთი ძროხები. კალინოვკელებზე ნაკლები რითა ვართო. უარი არ უნდა ვუთხრათ. საქმე ახლა ის არის, როგორ მოვახერხებთ მათ მოთავსებას იქ.

გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება: იყიდოს ძროხები ყედენოვკელი კოლმეურნეებისაგან საკოლმეურნეო ფერმისათვის; რძე მიჰყიდოს ხოლმე, ისევე როგორც კალინოვკელებს: ზაფხულობით — თითო ლიტრი, ზამთრობით — ნახევარი ლიტრი ოჯახის წევრზე 30 კაპიკად ლიტრი.

გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა შენიშნა:

— ჩვენები იმაზეც ლაპარაკობენ, არ შეიძლება მომავალ წელს ბოსტნებზეც უარი ვთქვათო? თუ კოლმეურნეობა ბოსტნეულსა და კარტოფილს მოგვცემს მინდვრიდან, რისთვის შევიწუხოთ თავი ბოსტნის მოვლითო.

— ასეთი საქმის გადაწყვეტა ერთბაშად არ შეიძლება, უნდა ვიფიქროთ და კარგად ავწონ-დავწონოთ, — თქვა გრაჩოვმა. — საერთოდ კი აქეთკენ მივდივართ და კიდევაც უნდა ვემზადებოდეთ ამისათვის. ძროხების საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურება კი არა ღირს. ჩვენ ხომ პირობა დავდეთ, რომ უკვე 1964 წელს მივიღოთ 1000 ცენტნერი რძე და 200 ცენტნერი ხორცი მიწის ყოველ ასეულ ჰექტარ მიწაზე. ეს ადვილი საქმე როდია.

* * *

აი რით ცხოვრობს დღეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ კალინოვკა — სამი ოლქის: სუმის, ბრიანსკისა და კურსკის ოლქების შესაყარზე მდებარე კოლმეურნეობა.

ხ. პროზოროვი, ი. ფადკინი.

კურსკის ოლქის
სოფელი კალინოვკა.
1/XII 1959.



პირუტყვის ძველი, ალიზით ნაგები და ჩალით დახურული სადგომების ფონზე სასახლესავით გამოიყურება სოფელ ყედენოვკის ახალი საძროხე. მისი აგება ახლა უკვე დამთავრებულია.

და კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე ყედენოვკელებისათვის: ჰორიზონტიდან, კალინოვკის მხრიდან, მოვიდა ელექტროენერგია, ელექტროშუქი კოლმეურნეთა სახლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ კონფერენციებზე

მაღალმთიანი რაიონის საქმეები

ახალქალაქის XXII რაიონული პარტიული კონფერენციის მუშაობაში, რომელიც 9 დეკემბერს შედგა, მთავარი ადგილი ეკავა სკკპ XXI ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის საკითხებს. კონფერენციის მონაწილენი ანალიზს უკეთებდნენ შვიდწლედის პირველ წელს მოპოვებულ მიღწევებს, ააშკარავებდნენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, ლაპარაკობდნენ საკოლმეურნეო წარმოების რეზერვებისა და შესაძლებლობათა უკეთესად გამოყენების გზებზე.

კონფერენციაზე განსაკუთრებული საქმიანი მსჯელობა გაიმართა საზოგადოებრივი მეცხოველეობის, როგორც რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგის, მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების შესახებ.

— მიმდინარე წლის 11 თვეში, — აღნიშნა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ს. მატიანმა, — რაიონმა მიიღო 63 ათასი ცენტნერი რძე, რაც ორნახევარჯერ აღემატება 1953 წლის მაჩვენებელს, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 ათასი ცენტნერით მეტია. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 1.633 კილოგრამი რძე, ანუ შარშანდელზე 230 კილოგრამით მეტი.

კარგი მაჩვენებლებია მოპოვებული ხორცის წარმოებაშიც. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წარმოებულია 36 ცენტნერი ხორცი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასულ წელს მიღწეულ მაჩვენებელს. სასურველი შედეგი გამოიღო პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო საიალაღო სუქებამ. ამ გზით სახელმწიფოს ჩაბარდა ერთნახევარჯერ იმაზე მეტი ხორცი და 55 პროცენტით მეტი საშუალო შეზორცების პირუტყვი, ვიდრე შარშან. უფრო უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა.

ეს წარმატებები, აღნიშნეს მომხსენებელმა და დელეგატებმა, იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო კვალიფიციურად და კონკრეტულად ხელმძღვანელობენ მეცხოველეობას. განმტკიცდა საკვები ბაზა, გაძლიერდა პირუტყვის სადგომების მშენებლობა, გაუმჯობესდა ზოოვეტმომსახურება. წელს რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახის პირუტყვის სულადობისა და საკვების დაგროვების გეგმები.

ლაპარაკობდნენ რა პირველ წარმატებებზე, მომხსენებელი და კამათის მონაწილე დელეგატები მთელი პრინციპულობით ეხებოდნენ შვიდწლედის ასაღებ ზღუდეებსა და გადაუჭიელ საკითხებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიისბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბაღდასარიამ, კარიახა მერძევეების საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. ო. თოფალიანმა, სამსარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. თოროსიანმა, დილისკის კოლმეურნეობის პარტიბიუროს მდივანმა ამხ. მ. კარახანიანმა, ოკამის მერძევეების საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავმა ამხ. ნ. მაისურაძემ და სხვებმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სოფლების აბულს, ჩუნჩხის, ახაკრეთისა და კუმურდოს კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია, სუსტია ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა, თვითდინებაზეა მიშვებული პოლიტიკური აგიტაცია. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობებში წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, არა თუ გაიზარდა, არამედ კიდევაც შემცირდა წველადობა, არ შესრულებულა პირუტყვის სულადობის ზრდის დარგში აღებული ვალდებულებები.

სოფელ კარტაკამის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჩეჩელიანმა მკაცრად გააკრიტიკა პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება იმის გამო, რომ იგი ნაკლებ დახმარებას უწევს საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს საგიტაციო-მასობრივი მუშაობისა და ლექციური პროპაგანდის უკეთ დაყენებაში.

— თუ საერთოდ რაიონმა მეცხოველეობაში პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, — აღნიშნავდნენ დელეგატები, — სამწუხაროდ, სრულიად არასახარბიელო მდგომარეობაა მემცენარეობაში. შესრულებული არ არის მარცვლეული კულტურების, ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლიანობის დავალებანი.

— რაიკომის ბიუროს, აღინიშნა კონფერენციაზე, მრავალჯერ იმსჯელა ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საკითხებზე, მაგრამ იმის გამო, რომ მიღებული გადაწყვეტილებები არ განუმტკიცდა სათანადო ორგანიზატორული მუშაობით, საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

რაიონში ფართო გამობმაურება პოვა ვ. გაგანოვის პატრიოტულმა თაოსნობამ. უნარიანი და საქმის მცოდნე მუშაკები წავიდნენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში სამუშაოდ. ახალქალაქის რაიონში პირველ გაგანოველად ითვლება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ქოჩოიანი.

— ხანდოს კოლმეურნეობა, — თქვა თავის გამოსვლაში ამხ. ვ. ქოჩოიანმა, — სადაც მე სამუშაოდ წავედი, წლების მანძილზე ვერ ასრულებდა მეცხოველეობის განვითარების გეგმებს. ამის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. საქმე იმით დავიწყეთ, რომ განვამტკიცეთ მეცხოველეობის საკვები ბაზა, შევარჩიეთ უნარიანი კადრები, დიდი ყურადღება დავუთმეთ მეცხოველეობის სადგომების მშენებლობას და პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო. 11 თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღებოდა 1.700 კილოგრამი რძე, რაც 495 კილოგრამით მეტია შარშანდელ მაჩვენებელზე.

კონფერენციამ, რომელმაც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა, ცხადყო, რომ ახალქალაქის რაიონის მშრომელებს შესწევთ უნარი სახელოვანი შრომითი საქმეებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმსა და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ.

— ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, — ამბობს ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე, — თავდადებით შრომობს პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, სოფლის კომუნისტების, პარტიული, ორგანიზაციების ვალია სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა მზარდ საწარმოო აქტივობას და შემოქმედებით ინიციატივას, მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა დაუქვემდებარონ შვიდწლედის დიადი პროგრამის ვადამდე განხორციელებისათვის ბრძოლას.

ლაპარაკობს რა მაღალმთიანი რაიონის ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებებზე, ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე აღნიშნავს, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურად გამოყენებას, ნათესების სტრუქტურის გაუმჯობესებას, ყოველი ღონისძიებით გაძლიერდეს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

— ახალქალაქის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში, — ამბობს ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე, — დამკვიდრებულია ისეთი არასწორი პრაქტიკა, როცა დიდ ფართობებზე მარცვლეულ კულტურებს თესავენ. ეს გაუმართლებელია ადგილობრივ მკაცრ კლიმატურ პირობებში, რაც შეუძლებელს ხდის უხვი მოსავლის მოყვანას. უფრო ხელსაყრელი და რენტაბელურია გავადიდოთ საკვები კულტურების, როგორც მეცხოველეობის აღმავლობის მძლავრი რეზერვის, ნათესი ფართობები და გავზარდოთ მოსავლიანობა. საჭიროა გაბედულად დავნერგოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება, განუხრელად ავამაღლოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა.

ამოცანა ის არის, — ამბობს დასასრულ ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე, — რომ უახლოეს ხანში არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა, გადავაქციოთ ახალქალაქი მეცხოველეობის ერთ-ერთ მოწინავე რაიონად რესპუბლიკაში.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი, პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ს. მატიანი, მეორე მდივნად — ამხ. თ. ლაზარაშვილი, მდივნად — ამხ. რ. იგითხანიანი.

ჰ. ხვადაძე,
ნ. ალელიშვილი.

შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ხოხუმის ხ. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში. წარმოების მოწინავენი სახალხოდ ამთავრებენ შვიდწლედის პირველ წელს.

შვიდწლედის ზღუდეებზე მოიერიშეთა ავანგარდში არიან ახალგაზრდები. ერთი მათგანია გამომჭრელი ვ. სირია. იგი სკოლის მერხიდან მივიდა კომბინატში და მალე საუკეთესო გამომჭრელი გახდა. ახლა ვ. სირია ყოველდღიურ დავალებებს 175-200 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ვ. სირია. ფოტო მ. ტარასოვისა.

დაფიქრდით?!

სახელმწიფო ზარალზე

ჩვენი კოლექტივის თვითეული წევრისათვის დიდად სასიხარულოა, რომ წელს ამიერკავკასიის რკინიგზაზე სადგურმა ქუთაისმეორემ საუკეთესო სადგურის წოდება მოიპოვა.

წელს სადგურში შემჭიდროებული დატვირთვით გათავისუფლდა რამდენიმე ათეული ვაგონი, რის შედეგად სახელმწიფოს ათასობით მანეთი ეკონომია მიეცემი. ასეევ დიდი ეკონომია გვაქვს ვაგონების ბრუნვის დაჩქარების შედეგად. სულ მიმდინარე წელს სახელმწიფოს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დავუზოგეთ.

დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში სადგურში განსაკუთრებით გამოირჩევიან ის კომპლექსური ცვლები, რომლებსაც სადგურის მორიგეები ჰ. ტყეშელაშვილი და გ. შავგულიძე ხელმძღვანელობენ.

მიუხედავად ამ წარმატებისა, მუშაობაში ხელს გვიშლის ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობა. მაგალითად, ქუთაისელ ჭარბობა, ტრესტი ქუთაისმშენი, გელათმახტმშენი, საქჰიდროენერგომშენის ქუთაისის ბაზა, ლუდის ქარხანა, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა ხშირად დიდი ხნით აკავებენ ვაგონებს და დიდ ჯარიმას იხდიან.

ვაგონების ბრუნვის დაჩქარებას ხელს უშლის აგრეთვე ის, რომ სადგურის ტერიტორიიდან ტვირთები დროულად არ გაიქვთ. ხშირად არის შემთხვევა, როცა მაუდის ფაბრიკის, ადგილობრივი მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის მესვეურები თავს არ იწუხებენ მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მისამართით მიღებული ტვირთების დაუგვიანებლად გატანისათვის.

საინტერესოა ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულან ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები იმაზე, რომ მათი ასეთი მოქმედებით დიდი ზარალი მოსდის სახელმწიფოს.

ვ. კვინიკაძე,
ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ქუთაის-მეორის უფროსი.

„წვრილმანები" — დისოლანი სოფლის ცხოვრებაში

სოფსა ერთ-ერთი დიდი და ცნობილი სოფელია ლანჩხუთის რაიონში. სოფელში 1.137 კომლია, ხუთი ათასზე მეტი მცხოვრები. სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე ორი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელია—ხედმაღალასა და ახალსოფლის კოლმეურნეობები. კოლმეურნეთა კარმიდამოს ორსართულიანი ოდა-სახლები და ბაღ-ვენახები ამკობს, ყველგან შეძლებული და ხალისიანი ცხოვრება ივრძნობა. მაგრამ სოფელში ჯერ კიდევ ბევრი „წვრილმანი" მოუგვარებელია, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

თქმა არ უნდა, რომ კოლმეურნეობათა ეკონომიურად განმტკიცების შემდეგ სუფსელებს ყოველგვარი შესაძლებლობა ჰქონდათ სასმელი წყალი გამოეყვანათ, მაგრამ ამ საქმეს თავი ვერავინ მოაბა. ამ რამდენიმე წლის წინათ სუფსის მშრომელებმა თავიანთი ინიციატივით წყლის გამოსაყვანად რამდენიმე ათასი მანეთი შეაგროვეს. აკრეფილი თანხა „უცნობმა" პირებმა გაფლანგეს, საქმე მაინც მოუგვარებელია.

სოფელში გვაქვს საავადმყოფო, რომელიც მეზობელ სოფლებსაც უწევს მომსახურებას. საავადმყოფოს შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ წელს გამოჰყო თანხები ახალი ბინის ასაგებად. დაიწყო შენობის აგება, მაგრამ ამას წინათ მოვიდა განკარგულება მშენებლობის შეჩერების შესახებ.

ჩვენი სოფლის ტერიტორიაზე გამავალ გზატკეცილსა და ხიდებს რემონტი ესაჭიროება. ეს საქმე მინდობილი აქვს ფოთის საგზაო უბანს, მაგრამ გზის კეთილმოწყობისათვის არავინ ზრუნავს. გზის ტექნიკოსმა მ. ურუშაძემ ამას წინათ „დაამთავრა" რემონტი. პირდაპირ შეუწყნარებელია ამ საქმისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულება.

ვ. ჩხარტიშვილი,
ა. მუშვიდობაძე,
გ. მურადაშვილი.

თქვენ რომ გაწვიმდეთ, მაშინ?

65 ოჯახი ცხოვრობს ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშათა საცხოვრებელ ბინაში, მაგრამ ქარხნის დირექცია ნაკლებად არის დაინტერესებული მუშათა საცხოვრებელი პირობებით. სახურავის შეუკეთებლობის გამო ბევრ ბინაში წყალი ჩამოდის, ფანჯრებზე ფანერის ნაჭრებია გაკრული.

მუშებმა ამ მდგომარეობის შესახებ ბევრჯერ მიმართეს ქარხნის ხელმძღვანელობას. მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ.

მ. გოგოლაშვილი.

წერილების კვალდაკვალ

ჯერ კიდევ გასულ წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინოულის კოლმეურნეობა გადაკეთდა საბჭოთა მეურნეობად, რომლის დირექტორად ვ. ხეცაძე დაინიშნა. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა მეგობრები და ხელი მიჰყო მეურნეობის ქონების განიავებას. ყურადღებას არ აქცევს შრომის ორგანიზაციას, რის შედეგადაც არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო გეგმები და სხვ., — გვწერდა კოლმეურნე ნ. თუთაიშვილი.

პარტიის ზესტაფონის რაიკომი, რომელსაც წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა, გვაცყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიუროს მეურნეობის დირექტორი ვ. ხეცაძე და ბუხჰალტერი გ. პერანიძე საბჭოთა ქონების დაცვისადმი უდარდელი დამოკიდებულებისათვის გაათავისუფლა თანამდებობიდან და მასალები გადასცა რაიონის პროკურატურას დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

,,ზესტაფონი" — ,,ბოლოდროინდელი"

„ბოლოდროინდელ" ,,ზესტაფონ"-ში

„ბოლოდროინდელ" ,,ზესტაფონ"-ში

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სამედიცინო „სიტყვის კონა"

ქართულ სამედიცინო სამეცნიერო ლიტერატურას ერთი თვალსაჩინო ნაშრომი კიდევ შეემატა — პროფ. ა. უსტიაშვილისა და პროფ. პ. კოპალეიშვილის მიერ შედგენილი „სამეანო-გინეკოლოგიური ტერმინოლოგია". წიგნს აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიზა და დასტამბულია გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ.

როგორც წიგნის წინასიტყვაობიდან ჩანს, ტერმინოლოგია შედგენილია სამ ნაწილად: რუსულ-ქართულ-ლათინური, ქართულ-რუსულ-ლათინური და ლათინურ-ქართულ-რუსული. რატომღაც გამოცემულია მხოლოდ პირველი ნაწილი, ხოლო როგორც იგივე წინასიტყვაობა გვაცნობს, „დანარჩენი ორი ნაწილი შემდეგში გამოქვეყნდება".

თქმა არ უნდა, გაცილებით უფრო კარგი და მიზანშეწონილი იქნებოდა სამივე ნაწილის გამოცემა ერთ წიგნად — ასეთი სრულყოფილი ლექსიკონები და ტერმინოლოგიები ჩვენ არა გვაქვს და სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს გამომცემლობის დიდ ნაკლად — ამ შემთხვევაში მაინც უნდა წამოეწყო მისაბაძი და დიდად სასურველი მაგალითი და სამივე ენაზე გამოექვეყნებინა ეს ტერმინოლოგია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია მკითხველმა ქართული ტერმინით მოძებნოს შესატყვისი ტერმინი რუსულად და ლათინურად. ვფიქრობთ, დროა ჩვენმა გამომცემლობებმა გითვალისწინონ, რომ ასეთი ცალმხრივად და ერთ ენაზე გამოცემული ტერმინოლოგიის წიგნები, როგორსაც აქამდე სცემენ, ვერასგზით ვერ დააკმაყოფილებს ქართველ მკვლევარს და მკითხველს, რომელიც იძულებული ხდება რომელიმე ტერმინს ჯერ, მაგალითად, რუსული შესატყვისი მოუძებნოს და ისე იპოვნოს ქართული ტერმინი.

სამწუხაროა, რომ სარეცენზიო წიგნსაც აქვს ეს ნაკლი, როგორც საქართველოში გამოცემული ყველა სხვა ლექსიკონს. ამ ნაკლისათვის გამომცემლობას ადვილად შეეძლო დაეღწია თავი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი მეტად დროულად არის გამოცემული.

ტერმინების დადგენა და გაკომუშავება დიდ ენერგიას და შრომას მოითხოვს. ავტორებს სამართლიანად მოჰყავთ საშუალო საუკუნეების მეცნიერულ აზროვნებაში შემუშავებული აფორიზმი, რომ ჰერაკლესის გმირობათა შემდეგ ლექსიკოგრაფია სიძნელით მეორეაო. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მეცნიერებათა აკადემიაში სპეციალური განყოფილება მუშაობს ტერმინოლოგიის საკითხებზე. ტერმინების დადგენა მთლიანად უნდა ემყარებოდეს ენის კანონებს, ძველ და ხალხურ მწერლობას და დაცული უნდა იყოს ერთიანობა, მთლიანობა ყველა დარგს შორის.

მაგალითად, მართებულად მოქცეულან ავტორები, რომ ტერმინი вес удельный ქართულად მოუციათ „კუთრი წონა" (და არა „ხვედრი წონა"), რადგან ყველა სხვა ტექნიკურ ლექსიკონში სწორედ ასეა მიღებული.

შკვე დადგა დრო ვიფიქროთ საერთოდ ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შედგენაზე, მაგრამ ამას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს ტერმინების დადგენა დარგობრივად. სწორედ ამ მხრივ მისასალმებელი პროფ. ა. უსტიაშვილისა და პროფ. ბ. კოპალეიშვილის შრომა, რომელშიც ეს ტერმინები მეანობა-გინეკოლოგიის დისციპლინის მიხედვით არის მოცემული.

ი. ჭავჭავაძის თანახმად, „ტერმინების უქონლობა... მეტის მეტად აბრკოლებს კაცსა... აძნელებს გაგებას ნათქვამისას... სიტყვასაც ძალუნებურად აგრძელებს, თითონ ენასაც აჭრელებს, ამძიმებს". ეს სიტყვები უფრო ცხადს ხდის ასეთი ტერმინოლოგიის აუცილებლობას.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ავტორებს დიდი შემოქმედებითი მუშაობაც გვიწევნიათ, მრავალი ახალი ტერმინი შემოუღიათ.

ცნობილია, რომ, მაგალითად, ტერმინი ტამპონი ყველა ენაზეა მიღებული. მაგრამ ირკვევა, რომ ქართველებს ჰქონიათ ამის შესატყვისი ტერმინი — „სოფეკი", „დაფეკება". ეს მშვენიერი ტერმინი დღემდე არავის დაუდგენია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ფართოდ გავრცელდება.

ასევე ახალია: Сукровица — „წალა". ყველა ქართულ ლექსიკონში ფურუნკული და კარბუნკული ახსნილია „ძირმაგარად", მაგრამ კარბუნკულისათვის ტერმინი „ძირდიდა", რომელიც ხალხშია გავრცელებული და მოყვანილი აქვთ ავტორებს, ზედმიწევნით გადმოსცემს დაავადების შინაარსს და მის აგებულებასაც კი.

საესებით მისაღებად უნდა ჩაითვალოს Брюшина'-ს შესატყვისი — „მუცლისი" (აქამდე მიღებული „მუცლის ფარის" ნაცვლად). კეტგუტის შესატყვისი — „ლარი" ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ხალხში, როგორც ვიცით, კეტგუტი საქონლის (ცხვრის) დაკრეხილ ნაწლავს წარმოადგენს, რომელსაც ქართულად ლარს უწოდებენ. მისი შემოღება სამეცნიერო ტერმინოლოგიაში მართლაც რომ დროულია.

როგორც ვხედავთ, ავტორებს არ შემოუფარგლავთ თავიანთი ძიება მხოლოდ მეანობა-გინეკოლოგიის დისციპლინით, მათ ისეთი ტერმინებიც გადაუსინჯავთ, რომლებიც აგრეთვე მოსაზღვრე დისციპლინებს ეხება — განსაკუთრებით ქირურგიას, და, როგორც ვხედავთ, მშვენიერი შემოქმედების ნიმუშებია მოცემული, რაც, რასაკვირველია, ავტორების მხოლოდ დაინტერესებას და საქმისადმი სიყვარულს მოწმობს.

მეანობა-გინეკოლოგიაშიც მეტად საინტერესო ახალ ტერმინებს ვხვდებით.

სიტყვა распошонка'-ს დღემდე არ ჰქონდა ქართულ ენაზე შესატყვისი და ახლა კი მოძებნილია — „საღეღელი", რაც მეტად ლამაზად და მთლიანად გადმოსცემს სიტყვის შინაარსს, пеленание თარგმნილი იყო „შეფუთვა"-დ, ახლა შემოღებულია „შეხვევა", „სპონტანური აბორტი"-ს შესატყვისად მიღებულია „თვითაბორტი", „მასტიტი"-ს ნაცვლად — „საბეწური", „ჰიპოდაქტილია"-ს შესატყვისად დადგენილია „თითნაკლებობა", „ჰიპერპიდროზი" თარგმნილია „ჭარბოფლიანობად" და სხვ.

საინტერესოდ არის განსაზღვრული ტერმინები: зародыш — „ჩანასახი", зачаток — „ჩანასახი", აგრეთვე многоводие — „წყალმრავლობა", პოლიდაქტილია — „თითმეტობა" და სხვა მრავალი.

ერთი სიტყვით, სარეცენზიო წიგნი მეტად საინტერესოა. ბევრი ახალი ტერმინია მოცემული, რაც ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენს ხალხში და ძველ სამედიცინო და სხვა წიგნებში მრავალი საინტერესო ტერმინია გაბნეული, დიდი შრომაა საჭირო ამ ტერმინების აღმოჩენისათვის და მათი კანონიერი ადგილის გამონახვისათვის.

ასე ფართოდ და „გულდასმით სამედიცინო, დარგობრივ ტერმინოლოგიაზე ჩვენში ჯერ არავის უმუშავნია „და ეს უნდა შეფასდეს როგორც მისაბაძი მაგალითი.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს შემდეგი. მიუხედავად იმისა, რომ სარეცენზიო წიგნს მეტად დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს", როგორც ჩანს, ჯეროვნად ვერ შეუფასებია მისი ღირებულება — ის ცუდად არის გაფორმებული და კორექტურული შეცდომებიც საკმარისად მოიძებნება.

ყოველივე ეს მეტად სამწუხაროა მითუმეტეს იმიტომ, რომ წიგნი პირველი ნაწილია (რუსული) და ის გავრცელდება მთელ საბჭოთა კავშირში.

დასასრულ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია დაიბეჭდოს ტერმინოლოგიის მეორე (ქართული) და მესამე (ლათინური) ნაწილი, ან მთელი ტერმინოლოგია ერთ წიგნად.

კ. ერისთავი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.



საბჭოთა დელეგაცია გულგარეთში

9 დეკემბერს მოსკოვიდან ბულგარეთში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელშიც შედიან: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი (დელეგაციის მეთაური), საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, გზათა მინისტრი ბ. პ. ბეშჩევი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ბ. ხლებნიკოვი და პ. ს. ივანოვი, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ნ. მ. სილუანოვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის წევრი ნ. ა. სმელოვი.

საბჭოთა დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XII სესიის მუშაობაში, რომელიც 10 დეკემბერს დაიწყება სოფიაში (საკადესი).

ფრანგები ეპაჟიქებიან ნ. ს. ხრუშჩოვს

პარიზი, 9 დეკემბერი. (საკადესი). საფრანგეთში ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით საფრანგეთის ქალაქების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სასწავლებლებისაგან კვლავ მოდის სულ ახალი და ახალი მიწვევა. ამ მიწვევათა ავტორები გამოთქვამენ მხურვალე იმედს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოგზაურობა საფრანგეთში შესრულებს დიდმნიშვნელოვან როლს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში და ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ქალაქ კამანის (პარიზის მახლობლად) უმაღლესი ტექნიკური პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტებმა საერთო კრებაზე გადაწყვიტეს სთხოვონ ნ. ს. ხრუშჩოვს ეწვიოს მათ სასწავლებელს.

„თქვენი სტუმრობა, — ნათქვამია მათ მიწვევაში ნ. ს. ხრუშჩოვისადმი, — შესაძლებლობას მოგცემთ დაამყაროთ პირდაპირი და ნაყოფიერი კონტაქტი ფრანგ სტუდენტებთან. იმედი გვაქვს, რომ ამრიგად ჩვენ ხელს შევუწყობთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობიანი თანაარსებობისა და მშვიდობის იდეების გავრცელებას მსოფლიოში".

ქალაქების სენ-პოლ-სიურ-მერის (ნორის დეპარტამენტი) ვინინე-სიურ-სე-ნის (სენისა და უაზის დეპარტამენტი), კონკის (ოდის დეპარტამენტი) და ტონენსის (ლოსა და გარონის დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭოებმა თავიანთ სხდომებზე დაადგინეს მიიწვიონ საბჭოთა მთავრობის მეთაური ამ რაიონებში.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე" ოუწყება, ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევა გადაწყვიტა აგრეთვე ალიეს დეპარტამენტის ბევრმა ორგანიზაციამ, მათ შორის მერების ადგილობრივმა გაერთიანებამ, სასოფლო-სამეურნეო პალატამ და სოფლელ მეურნეთა ფედერაციამ.

დელი ემზადება...

რას უჩვენებს სსრ კავშირი გამოფენაზე

დელი, 8 დეკემბერი. საკადესის კორესპონდენტი ვ. კონდრაშოვი გადმოგვცემს: დელის ცენტრში ვეიბერთელეა მოედანზე გადაჭიმულა საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონები. სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში თავიანთ მიღწევებს უჩვენებენ ავღანეთი, ბირმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ერაყი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მონღოლეთი, პოლონეთი, სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინდოეთი და სხვა ქვეყნები.

გამოფენის გახსნამდე რამდენიმე დღე დარჩა. მაგრამ უკვე ახლა ინდოეთის საზოგადოებრიობა უდიდეს ინტერესს იჩენს გამოფენინადმი, რომელიც შესაძლებელს გახდის ფართოდ იქნას გაზიარებული სხვადასხვა სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის გამოცდილება.

საბჭოთა კავშირის პავილიონი — ვრცელი შენობა აუურული შეხსვლელი თაღით — მზად არის დამთვალიერებელთა მისაღებად. სპეციალურად აგებულ თეატრში გამოვლენ საბჭოთა მხატვრული კოლექტივები, ცირკის მსახიობები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. ღია კინოთეატრში უჩვენებენ საბჭოთა მეცნიერულ-პოპულარულ და მხატვრულ ფილმებს.

პავილიონის პირველი დარბაზი ეძღვნება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის წარმატებას, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, საბჭოთა ქვეყნის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. შესასვლელის პირდაპირ კედელზე გაკრულია საბჭოთა კავშირის ვეებერთელა „მოლაპარაკე" რუკა. იგი გაშუქებულია ფერადი შუქით და თვითეული შუქი არის ან სამრეწველო ცენტრი ან ახალშენება, ან გიგანტური ელექტროსადგური. აქ დადგმულია მაკეტები კოსმოსის დაპყრობის პიონერებისა — დედამიწის საბჭოთა თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტებისა, რომლებმაც უჩქნობი სახელი მოუხვეჭეს საბჭოთა მეცნიერებას. დარბაზი მორთულია დიდი ფოტოპანელებით, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მზარდ მეგობრობას, მათს მზარდ ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობას.

მრავალი მოქმედი მაკეტი, პანორამა, დიაგრამები, ფოტოსურათები, რომლებიც საბჭოთა პავილიონის დარბაზებშია, ფაქტებისა და ციფრების ენით ილუსტრირებენ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებაზე, საბჭოთა კავშირისა ატომური ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაზე, კერძოდ მის გამოყენებაზე სოფლის მეურნეობაში. დამთვალიერებელთა ყურადღებას მიიპყრობენ სტენდები, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის გამოცდილებას სიმინდის მოყვანაში, ექსპონატები, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა საკოლმეურნეო სოფლის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაზე.

პატარა მოედანზე პავილიონის გვერდით ჩამწკრივებულია ძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა: ტრაქტორები, ბამბის საკრეფი და სხვა მანქანები, მათ შორის ტრაქტორი „ბელარუსი", რომელიც ინდოეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ახლა ეს ტრაქტორები შეიძლება ნახოთ

საგლეხოოთხელი

გზა ოთხეულის „ცივი ომის“ ატმოსფეროს

გამოვიდა რა ნიუ-იორკში 9 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე ეგრეთწოდებულ უნგრეთის საკითხზე, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას უკვე არაერთგზის აღუნიშნავს, რომ სესიის დღის წესრიგში ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის შეტანა ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშ დარღვევას, წესდებისა, რომელიც კრძალავს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას.

მწუხარებით უნდა აღინიშნოს, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომ გენერალური ასამბლეა ზოგიერთი დელეგაციის მიერ თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად ჩათრეული აღმოჩნდა დისკუსიაში, რომელიც ვნებს მშვიდობის საქმეს და ბღალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟს.

ყველა კეთილ ნების ადამიანი, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, მიესალმება მომხდარ გარდატეხას საერთაშორისო ურთიერთობაში და ქვეყნებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის მოგვარებას. და ეს საკმაოდ გასაგებია, რამდენადაც ხალხებს მოგეზრდათ „ცივი ომი“, მათ ახარებთ მომხდარი დათბობა მსოფლიოში. ამ პირობებში ყველა მთავრობის, ყველა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ვალია ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების დაწყებული პროცესის განმტკიცებას.

მაგრამ, აღნიშნა შემდეგ ვ. ვ. კუზნეცოვმა, დასავლეთის ქვეყნებში, სამწუხაროდ, კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც გავლენა აქვთ საგარეო პოლიტიკაზე და არა სურთ შეურიგდნენ საერთაშორისო ჰავის დათბობას, განაგრძობენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მოტივებზე მღერას.

სრულიად ცხადია, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომ თავისებურ ხარკს სწორედ იმ ძალებისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას, წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის დასმის ახალი წამოწყება, რომლის ინიციატორი გახდა შეერთებული შტატების დელეგაცია.

მოკლედ ჩამოაყალიბა რა ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის ისტორია, ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა: უნგრელმა ხალხმა ნათლად და არაორაზროვნულად თქვა თავისი სიტყვა 1956 წელს. უნგრელ მუშებს არ სურთ, რომ ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც დღეს საერთო სახალხო საკუთრებაა, დაუბრუნდეს ექსპლოატატორებს. უნგრელ გლეხს სრულიადაც არა სურს დაუბრუნოს ბატონ ესტერგაზებსა და მათს მსგავსთ მიწა, რომელიც სახალხო ხელისუფლებისაგან მიიღო. უნგრელმა ხალხმა თვითონ აირჩია თავისი სისტემა და მთავრობა ისე, რომ არ უკითხავს ამისი ნებართვა და კურთხევა ვისგანმე, და შეუძლია დაიცვას იგი ყოველგვარი მტრისაგან. მაგრამ სწორედ ეს, როგორც ჩანს, არ მოსწონს ზოგ ვინმეს დასავლეთში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები ისწრაფვიან ძირგამომთხრელი საქმიანობა გასწიონ იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომელთაც არა სურთ გაჰყვნენ მათ. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხი. ამ საკითხის განხილვა იმას ნიშნავს, რომ უწინარეს ყოვლისა ვილაპარაკოთ დასავლეთის სახელმწიფოთა ჩარევაზე სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში.

უცვლელად იცავენ რა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, რომლებიც სულ უფრო მეტ საერთაშორისო აღიარებას პოვებენ, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, სოციალისტური სახელმწიფოები თავს არ აბეკვენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს თავიანთ შეხედულებას და ამასვე მოითხოვენ მათგან. ჩვენ არ ვაპირებთ ჩავერიოთ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში და უფლება გვაქვს მოვითხოვთ, რომ არც სხვა სახელმწიფოები ერეოდნენ სოციალისტური სახელმწიფოების საშინაო საქმეებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს მშვიდობის საქმეს, განაცხადა დასასრულ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა, რაც უფრო მალე, ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდებს პროვოკაციულ საკითხებს, როგორიც არის ახლა განსახილველი საკითხი, და მოიპოვებს საკმაო ძალებს, რათა სავსებით და სამუდამოდ მოახდინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „ცივი ომის“ ატმოსფეროს ლიკვიდაცია, მით უკეთესი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის შესახებ რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ. (საკდესი).

„ილ-18“ გვინეაში

კონაკრი, 9 დეკემბერი. (საკდესი). გვინეელები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ტურბინგრძახნიანი თვითმფრინავისადმი „ილ-18“, რომლითაც გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე კონაკრში ჩამოვიდა.

საჰაერო ლაინერის დასათვალიერებლად აეროდრომზე განუწყვეტლივ მოდიან დელეგაციები კონაკრიდან, აგრეთვე გვინეის სხვა ადგილებიდან. უურადღებით ისმენენ მფრინავთა ახსნა-განმარტებას, აღტაცებაში მოდიან საბჭოთა თვითმფრინავის კომფორტაბელურობით და საფრენოსნო თვისებებით.

გვინეის რესპუბლიკის აეროკლუბის თავმჯდომარემ დიალო ალფამ აღნიშნა, რომ „ილ-18“ მშვენიერი მანქანაა, რომელიც მოწმობს საბჭოთა საავიაციო ტექნიკის უპირატესობას.

კვლავ ძველ პოზიციებზე...

ბონი, 9 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, რომელზეც გამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი. იგი შეეხო, კერძოდ, საერთაშორისო მდგომარეობას.

პრესის ცნობებით, ადენაუერმა განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის უმაღლესი დონის დასახულ თათბირში, თუმცა, როგორც ცნობილია, იგი ამ თათბირზე არაერის მიუწვევია. ეს, განაგრძო ბონის მთავრობის მეთაურმა, მე გასვეცსადე ჩემს პარტნიორებს ლონდონისა და პარიზის მოლაპარაკებაში და ამასთან ვპოვე „სრული გაგება“.

დასავლეთ გერმანიის კანცლერმა გამოთქვა უკმაყოფილება იმით, რომ გერმანელი მრჩეველები მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე, რომელიც ამ ზაფხულს მიმდინარეობდა. როგორც მისი შემდგომი სიტყვებიდან ჩანს, ადენაუერის ეს უკმაყოფილება აიხსნება იმით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები ჟენევის თათბირზე მონაწილეობდნენ თანასწორუფლებიან საწყისებზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ცდილობდა განესაზღვრა დიდ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა დასახული თათბირის დღის წესრიგი. ადენაუერის აზრით, ბერლინისა და გერმანიის საკითხები განხილულ უნდა იქნას მხოლოდ სხვა პრობლემებთან, უწინარეს ყოვლისა განიარაღების საკითხთან დაკავშირებით. ამის გამო იგი კვლავ ცდილობდა გამოეწვია უნდობლობა საბჭოთა კავშირის წინადადებებისადმი განიარაღების შესახებ.

იმ პერიოდში, როცა მსოფლიო მალე მოელის დიდ სახელმწიფოთა მნიშვნელოვან მოლაპარაკებას საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტებისა და სადავო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, ყოველ შემთხვევაში უცხაურად გაისმის ადენაუერის სიტყვები: საერთაშორისო მდგომარეობა ახლა „უფრო სერიოზულია, ვიდრე ოდესმე წინათ“. შეეხო რა თავის ამასწინანდელ მოლაპარაკებას ლონდონში, ბონის მთავრობის მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა, იმის გამო, რომ ოდესღაც აყენებს წინადადებას ომის იარაღისაგან თავისუფალ ზონის შექმნის შესახებ ცენტრალურ ევროპაში.

ამჟერად ადენაუერი მოითხოვდა ნატოს გაძლიერებას. ადენაუერმა თქვა, უნდა შევამოწმოთ საკმარისია თუ არა ნატოს თავდაცვითი საშუალებებიო.

თავისი გამოსვლის საშინაო პოლიტიკურ ნაწილში ადენაუერი თავს დაესხა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის იმ წრეებს, რომლებიც უარს ამბობენ უსიტყვოდ შეასრულონ ამ მმართველი პარტიის ხელმძღვანელობის მითითებანი.

ამერიკა-პაკისტანის ერთობლივი კომუნიკე

კარაჩი, 8 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კომუნიკე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერისა და პაკისტანის პრეზიდენტის აიუბ-ხანის მოლაპარაკების შესახებ.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ დ. ეიზენჰაუერმა და აიუბ-ხანმა განიხილეს საერთო საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემები.

კომუნიკეში, კერძოდ, ხაზი აქვს გასმული ისეთი სამხედრო პაქტების „დიდ მნიშვნელობას“, როგორიც არის სენტო და სეატო, რომელთა წევრია პაკისტანი. ამასთან ერთად დ. ეიზენჰაუერმა და აიუბ-ხანმა აღიარეს, რომ „პაკისტანმა იკისრა მძიმე ფინანსური ტვირთი და ცდილობს განაზორციელოს განვითარების მნიშვნელოვანი პროგრამა და ამავე დროს ეროვნული უშიშროების ინტერესების შესაბამის დონეზე იყოლიოს შეიარაღებული ძალები“.

კომუნიკეში ნათქვამია აგრეთვე, რომ მოლაპარაკების დროს განხილულ იქნა „შეერთებული შტატების მიერ პაკისტანისათვის გაწეული ტექნიკური, ეკონომიური და სამხედრო დახმარების სხვადასხვა ასპექტი“.

ორივე პრეზიდენტმა, ნათქვამია კომუნიკეში, დაადასტურა თავისი კმაყოფილება იმის გამო, რომ სულ უფრო მჭიდრო ხდება პაკისტანისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობა.

ახალი გერმანია იზიდავს...

ბერლინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). 1959 წლის მესამე კვარტალში დასავლეთ გერმანიიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოვიდა 16.900 კაცი, იუწყება დღეს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს გადიდდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოსულ პირთა რიცხვი. გასულ კვირაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოვიდა 1083 კაცი.

ნერუს განცხადება

დელი, 9 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პარლამენტის შტატების საბჭოში გამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთი ახორციელებს და განზრახვა აქვს კვლავაც განახორციელოს სამხედრო ბლოკებთან შეუერთებლობის პოლიტიკა, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს პანჩა-შილას პრინციპები. ჩვენ, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, უნდა ვიმუშაოთ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

„ეროვნელები“

თბილისის ერთი თვის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ხაზგადოებრიობა გატაცებით ადევნებდა თვალს ერევანში გამართულ საბჭოთა კავშირის XXVII საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალს, სადაც ფინალში გასვლისათვის 18 უძლიერეს მოჭადრაკეთა მხარდამხარ იბრძოდნენ თბილისელი ოსტატები ბ. გურგენიძე, ა. ბუსლაევი და მ. შიშოვი.

მოლოდინი იმისა, რომ ბრძოლა სამეულში მოსახვედრად, რაც ფინალში მონაწილეობის უფლებას იძლეოდა, მეტად მძაფრი იქნებოდა, სავსებით გამართლდა. განსაკუთრებით მწვავე სპორტული პაექრობა გაიმართა მესამე ადგილისათვის, რადგან გროსმაისტერებმა ე. გელერმა და ი. ავერბახმა თავიდანვე ალლო აუღეს ტურნირს და თითქმის დაიმკვიდრეს პირველი ორი ადგილი. ეს არც იყო გასაკვირველი. ე. გელერმა ერევანში ჩასვლამდე ბრწყინვალედ ითამაშა დრეზდენის საერთაშორისო ტურნირში, ხოლო ი. ავერბახს საფუძვლიანი ვარჯიში ჰქონდა მიღებული პრეტენდენტთა მატჩტურნირზე მ. ტალის მწვრთნელად ყოფნის დროს.

გროსმაისტერებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ლიდერობა და კიდეც გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ ე. გელერმა ერევნის ტურნირიც ბრწყინვალედ დაუმარცხებლად განვლო, ხოლო ი. ავერბახს ერთხელ მაინც (თბილისელ ა. ბუსლაევთან) მოუხდა ფარხმალის დაყრა.

ვინ იქნება მესამე ადგილზე? ეს კითხვა აღელვებდათ ბ. გურგენიძის და ი. კლოვანის, ვ. ბაგიროვის და ე. მნაცაკანიანის გულშემატკივრებს. ახალგაზრდა ოსტატები ენერგიულად იბრძოდნენ ყოველ პარტიაში. მალე მათ გვერდში ამოუდგა ა. ბუსლაევი.

ფინიშზე ბ. გურგენიძემ შესანიშნავი სტილით დაამარცხა ძირითადი კონკურენტი ი. კლოვანი, ვ. ბაგიროვმა მოუგო ა. ბუსლაევს, ე. მნაცაკანიანმა ზედიზედ ორი ნოლი მიიღო, და, ამრიგად, მესამე ადგილის საკითხი ასე დადგა: ბ. გურგენიძე თუ ვ. ბაგიროვი?

ბ. გურგენიძე დასკვნითს ორ ტურში ერთნახევარ ქულას აგროვებს, ვ. ბაგიროვი — ნახევარს, იგი აგებს პარტიას ე. მნაცაკანიანთან. მესამე ადგილი რჩება ქართველ ოსტატს.

მიუხედავად იმისა, რომ ბ. გურგენიძემ ცუდად აიღო სტარტი, ბოლოს მაინც გამოავლინა სატურნირო მებრძოლის საუკეთესო თვისებები: სიმხნევე, ბრძოლისუნარიანობა და შეუპოვრობა. მის აქტივშია 7 გამარჯვება და 6 ყაიმი.

ქების ღირსია ა. ბუსლაევის მონდომებული თამაში, მხოლოდ ფინიშზე უღალატა მას ნერვებმა. მ. შიშოვი აშკარად ვერ იყო სპორტულ ფორმაში. სხვა მხრივ ძნელი ასახსნელია მისი ცხრა დამარცხება.

ტურნირი დამთავრდა. მალე ლენინგრადში ხაზეინმოდ გაიხსნება საბჭოთა კავშირის XXVII საჭადრაკო პირველობის ფინალი, რომლის ფერხულში ჩაებმებიან „ერევნელებიც“ — ე. გელერი, ი. ავერბახი და ბ. გურგენიძე.

თ. გიორგაძე.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ლიპეცკი, 10 დეკემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ კულტურის სახლში გაიმართა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის მორიგი მე-13 ტური.

წარმატებით იბრძვის ლ. ვოლპერტი, რომელსაც ჯერ არც ერთი პარტია არ წაუგია. დღეს მან გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა, დაამარცხა ე. კაკაბაძე. მ. ტოგონიძემ ა. კუშნირის წინააღმდეგ დაუშვა უხეში შეცდომა, წაავო ჯერ პაიკი, შემდეგ ხარისხი და მალე პარტიაც. ნ. ვოიცეკმა მოუგო ნ. კოლოტის, ხოლო ო. რუბცოვამ-ზ. ნახიმოვსკაიას. ლ. იაკირ-ა. რუბინჩიკისა და თ. დმიტრიევა-კ. სკეგინას პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ა. ვიტკოვსკაიასა და ნ. გაფრინდაშვილის პარტია გადადებულია რთულ პოზიციაში.

13 ტურის შემდეგ ლ. ვოლპერტს 9,5 ქულა აქვს, თ. დმიტრიევას 12-დან 7,5 ქულა, ნ. ვოიცეკსა და ლ. იაკირს — 13-დან შვიდნახევარ-შვიდნახევარი ქულა.

თქვენთვის, პატარებო!

პატარები და მათი დედები გულგრილად ვერ ჩაუვლიან მაღაზიების ვიტრინებს, სადაც პლასტმასისა და ლითონის ლამაზი სათამაშოებია გამოფენილი. ბავშვებს ძალიან მოსწონთ საყვირი, სალამური, კურდღელი ბაჭიებიანად ეტლში, იხვები მოსიარულე ჭუჭულებიანად, კვერცხმდებელი ქათამი, დოქები, სარწყავები, ვედროები და სხვ. ყოველივე ეს დამზადებულია ქალაქ თბილისში, არტელ „5 დეკემბრის“ საწარმოებში, რომლებიც მხოლოდ სათამაშოების გამოშვებაზე მუშაობენ.

ახლოვდება ახალი წელი, და ბავშვებს სურთ მოაწყონ საახალწლო ზეიმი ნაძვისხესთან, მაგრამ მათ უკვე იციან, რომ ნორჩი ნაძვისხეების მოჭრა დანაშაულია.

მათი სურვილის დასაკმაყოფილებლად არტელში შარშან ჩამოყალიბდა სპეციალური სამჭრო, რომელიც ხელოვნური ნაძვისხეების გამოშვებაზე მუშაობს. აქ ქაღალდისა და მავთულისაგან მზადდება ერთმეტრიანი, 75 და 55-სანტიმეტრიანი 25.000 ცალი ხელოვნური ნაძვისხე. მათ დამზადებაზე მონდომებით მუშაობენ ნიკოლოზ კაზარიანი, ციცინო სარაძე, დომნა ფეოფანოვა, ნანა ნადიბაიძე, ვენერა ამირხანაშვილი და სხვები.

მომავალ წელს სამჭრო დაამზადებს 40.000 ხელოვნურ ნაძვისხეს. განზრახულია გამოშვებულ იქნას ახალი კონსტრუქციის ნაძვისხე. შესაძლებელი იქნება მისი დაშლა და შემდეგ ნებისმიერ ზომაზე აწყობა.

სამჭროს კოლექტივს გამოცდილების გასაზიარებლად ეწვევნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის სარეწაო საბჭოების წარმომადგენლები. ამ რესპუბლიკებში წელს პირველად დაამზადებენ ხელოვნურ საახალწლო ნაძვისხეს.

ხელოვნური ნაძვისხეები! მერე რა, კარგი კია ხა!..

ფოტოტეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ორი შეხვედრა — ორი გამარჯვება

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). 8 დეკემბერს გვიან საღამოს ქალაქ დენვერში (კოლორადოს შტატი) გაიმართა საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების მორიგი შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებთან.

ქალაქის უდიდესი სასპორტო დარბაზი „კოლიზეი“, რომელიც 10 ათას მაყურებელს იტევს, ხალხით იყო გაჭედილი.

საბჭოთა კალათბურთელი ქალები შეხვდნენ „უეიენედ კოლეჯის“ (აიოვას შტატი) კლუბის სპორტსმენებს.

მატჩი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით — 52 : 46.

საბჭოთა კაცმრთა ვაჟთა გუნდის წინააღმდეგ გამოდიოდნენ —დენვერ-ჩიკაგო ტრაკერსის“ კლუბის კალათბურთელები. რომელთა შორის თამაშობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდისა და ნაკრები გუნდის მსოფლიო პირველობაზე ჩილეში მონაწილეები.

დაძაბული და საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 96 : 93 საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდ.

მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებას.

სპარტაკელთა მატჩი კოლუმბიაში

8 დეკემბერს მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში გაამართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ადგილობრივ საკლუბო გუნდთან „მილონარიოსთან“. ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა სიმონიანმა, მაგრამ კოლუმბიის ფეხბურთელებმა მეორე ტაიმში შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა და მატჩი ფრედ — 1:1 დაამთავრეს.

„ეროვნელები“

თბილისის ერთი თვის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ხაზგადოებრიობა გატაცებით ადევნებდა თვალს ერევანში გამართულ საბჭოთა კავშირის XXVII საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალს, სადაც ფინალში გასვლისათვის 18 უძლიერეს მოჭადრაკეთა მხარდამხარ იბრძოდნენ თბილისელი ოსტატები ბ. გურგენიძე, ა. ბუსლაევი და მ. შიშოვი.

მოლოდინი იმისა, რომ ბრძოლა სამეულში მოსახვედრად, რაც ფინალში მონაწილეობის უფლებას იძლეოდა, მეტად მძაფრი იქნებოდა, სავსებით გამართლდა. განსაკუთრებით მწვავე სპორტული პაექრობა გაიმართა მესამე ადგილისათვის, რადგან გროსმაისტერებმა ე. გელერმა და ი. ავერბახმა თავიდანვე ალლო აუღეს ტურნირს და თითქმის დაიმკვიდრეს პირველი ორი ადგილი. ეს არც იყო გასაკვირველი. ე. გელერმა ერევანში ჩასვლამდე ბრწყინვალედ ითამაშა დრეზდენის საერთაშორისო ტურნირში, ხოლო ი. ავერბახს საფუძვლიანი ვარჯიში ჰქონდა მიღებული პრეტენდენტთა მატჩტურნირზე მ. ტალის მწვრთნელად ყოფნის დროს.

გროსმაისტერებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ლიდერობა და კიდეც გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ ე. გელერმა ერევნის ტურნირიც ბრწყინვალედ დაუმარცხებლად განვლო, ხოლო ი. ავერბახს ერთხელ მაინც (თბილისელ ა. ბუსლაევთან) მოუხდა ფარხმალის დაყრა.

ვინ იქნება მესამე ადგილზე? ეს კითხვა აღელვებდათ ბ. გურგენიძის და ი. კლოვანის, ვ. ბაგიროვის და ე. მნაცაკანიანის გულშემატკივრებს. ახალგაზრდა ოსტატები ენერგიულად იბრძოდნენ ყოველ პარტიაში. მალე მათ გვერდში ამოუდგა ა. ბუსლაევი.

ფინიშზე ბ. გურგენიძემ შესანიშნავი სტილით დაამარცხა ძირითადი კონკურენტი ი. კლოვანი, ვ. ბაგიროვმა მოუგო ა. ბუსლაევს, ე. მნაცაკანიანმა ზედიზედ ორი ნოლი მიიღო, და, ამრიგად, მესამე ადგილის საკითხი ასე დადგა: ბ. გურგენიძე თუ ვ. ბაგიროვი?

ბ. გურგენიძე დასკვნითს ორ ტურში ერთნახევარ ქულას აგროვებს, ვ. ბაგიროვი — ნახევარს, იგი აგებს პარტიას ე. მნაცაკანიანთან. მესამე ადგილი რჩება ქართველ ოსტატს.

მიუხედავად იმისა, რომ ბ. გურგენიძემ ცუდად აიღო სტარტი, ბოლოს მაინც გამოავლინა სატურნირო მებრძოლის საუკეთესო თვისებები: სიმხნევე, ბრძოლისუნარიანობა და შეუპოვრობა. მის აქტივშია 7 გამარჯვება და 6 ყაიმი.

ქების ღირსია ა. ბუსლაევის მონდომებული თამაში, მხოლოდ ფინიშზე უღალატა მას ნერვებმა. მ. შიშოვი აშკარად ვერ იყო სპორტულ ფორმაში. სხვა მხრივ ძნელი ასახსნელია მისი ცხრა დამარცხება.

ტურნირი დამთავრდა. მალე ლენინგრადში ხაზეინმოდ გაიხსნება საბჭოთა კავშირის XXVII საჭადრაკო პირველობის ფინალი, რომლის ფერხულში ჩაებმებიან „ერევნელებიც“ — ე. გელერი, ი. ავერბახი და ბ. გურგენიძე.

თ. გიორგაძე.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ლიპეცკი, 10 დეკემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ კულტურის სახლში გაიმართა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის მორიგი მე-13 ტური.

წარმატებით იბრძვის ლ. ვოლპერტი, რომელსაც ჯერ არც ერთი პარტია არ წაუგია. დღეს მან გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა, დაამარცხა ე. კაკაბაძე. მ. ტოგონიძემ ა. კუშნირის წინააღმდეგ დაუშვა უხეში შეცდომა, წაავო ჯერ პაიკი, შემდეგ ხარისხი და მალე პარტიაც. ნ. ვოიცეკმა მოუგო ნ. კოლოტის, ხოლო ო. რუბცოვამ-ზ. ნახიმოვსკაიას. ლ. იაკირ-ა. რუბინჩიკისა და თ. დმიტრიევა-კ. სკეგინას პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ა. ვიტკოვსკაიასა და ნ. გაფრინდაშვილის პარტია გადადებულია რთულ პოზიციაში.

13 ტურის შემდეგ ლ. ვოლპერტს 9,5 ქულა აქვს, თ. დმიტრიევას 12-დან 7,5 ქულა, ნ. ვოიცეკსა და ლ. იაკირს — 13-დან შვიდნახევარ-შვიდნახევარი ქულა.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.



ჩრდილოამერიკული კენგურუ.

ნახ. გ. ლომაძისა.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს 1960 წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე ხაქონელმცოდნეობისა და ვაჭრობის ეკონომიკის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტთა ხელახალ რეგისტრაციას.

რეგისტრაციაში გატარება საკალდებულოა საბჭოთა ვაჭრობის დაუსწრებელი ინსტიტუტის ყოფილი თბილისის ფილიალის სტუდენტთათვის, აგრეთვე იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც უშუალოდ ირიცხებოდნენ ინსტიტუტში და მიმდინარე სასწავლო წლიდან გადმოირიცხნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

რეგისტრაციაში გატარების დროს სტუდენტი ვალდებულია პირადად წარმოადგინოს ფაკულტეტის დეკანატში: პასპორტი, სტუდენტის მოწმობა, ჩათვლის წიგნაკი და ცნობა სამუშაო ადგილიდან.

სტუდენტი, რომელიც ხელახალ რეგისტრაციას არ გაივლის, მექანიკურად გაირიცხება უნივერსიტეტიდან.

ქუთაისის ალ. ფულუკიძის სახელობის პედინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ენამეცნიერების, ისტორიისა და ენამეცნიერების, ბიოლოგიისა და ბიოლოგიის, ფიზიკისა და ფიზიკის